

1-39 სტრ., 1

ქ. შემოკლებული ისტორია. ცხებულის. მეფის თეიმურაზისა და მისა მისისა მეფისა ირაკლი მეორისა თუ ვითარ შრომითა ღვაწლითა დამხნურითა მორბედობითა მიიღო მეფობა ქართლისათა ზაგულგვანმან ირაკლი თეიმურაზის ძემან

დაჯდა ყენად ძე შაჰ სულთან უსეინისა შაჰ თამაზ წელსა. ჩღვბ, რომელსა რიცხვთა შინა იჯდა მეფედ ქართლსა ვახ

ტანგ ძე ლეონისა ხოლო ვახეთს მეფობდა კონსტანტინე ირაკლი პირველის ძე რომელსა სახელად ეწოდა მაჰმად ყული ხან ესე ორნი მეფენი იყვნენ ფრიად მოყვარულნი. ურთი ერთისანი და მტკიცენი ერთობასა ზედა. გარნა ვინათგან კეთილისა მოძულე ბოროტი ეშმაკი მღვიძარე არს დახსნით კეთილისა ამისთვის. იხმარა ორღანოდ. შაჰ თამაზ და განაძვინა იგი ორთა მოყვარულთა მეფეთა ზედადა იზაკუარა ესრეთ რომელ დასცნეს მათ. შორის ერთობა. და შემოუგდოს შური ესე ვითარითა სახითა. შაჰ თამაზმან მოსწერა წიგნი მაჰმად ყული ხანს ვითა. ვინათგან.

ხარ მაჰმადიანი, ამისთვის სარწმუნოდ გრაცხ და ხოლო მეფესა ვახტანგს ვერღა ვენდობით, განაძე ეგე და ქართლიცა შენვე დაიჭირო, რომლისა დასამტკიცებლად მოსცა შემწედ განჯა, ყარაბაღი, და ერევანი, თუმცა მაჰმად ყული ხანს არა უნდოდა დახსნა სიყვარულისა გარნა უმეტესისა ჰნდომამან, შეიყვანა შური გულსა მისსა, შემოიკრიბა მხედრობა და მოვიდა უგრძნებულად. გარეტიფლისისასა, სეიდაბადს. ამისმან მსმენელმან მეფემან ვახტანგ მიუგზავნა დესპანი და სთხოვა სიყვარულსა ზაგულგვანმან უსმინა მაჰმად ყული ხან მაშინ მაშინ მეფემან ვახტანგ შემოუძახა სპათა თვისთა მოგება, შეება დაამარცხა და წარვიდა მეოტი მაჰმად ყული ხან, ყული ხანს

არ უნდოდა დახსნა სიყვარულისა გარნა უმეტესისა ჰნდომამან შეიყვანა შური გულსა მისსა შემოიკრიბა მხედრობა და მოვიდა უგრძნებულად გარეტიფლიზისა სეიდაბადს ამისმან მსმენელმან მეფემან ვახტანგ მიუგზავნა დესპანი და სთხოვა სიყვარულსა ზაგულგვანმან უსმინა მაჰმად ყული ხან მაშინ, მაშინ მეფემან ვახტანგ შემოუძახა სპათა თვისთა მიგება, შეება დაამარცხა და წარვიდა მეოტი მაჰმად ყული ხან. მივიდა ჭარსა და განიმრავლნა მხედრობანი კვალად წარმოვიდა და დადგა სეიდაბადსავე აქე-

თით მიეგება მეფე ვახტანგ და განაძლიერა ბრძოლა

1-32 სტრ., 2

ხოლო იხილა რა მეფემან ვახტანგ რომელ მახმადიანთაგან დაიღვრების სისხლი ქრისტეანეთა ამისთვის მიჰრიდა და წარვიდა ზემო ქართლს. ხოლო მაჰმად ყული ხან შემოვიდა ტიფლისს და დაჯდა მეფეთ:

წელსა ჩღკვ: სულთნის სარასვარი მოვიდა ყარს და ესმა აღრევა ქართველთა მეფეთა და მით შეხვდა ჟამი მარჯვე რომლისათვის მოსწერა მეფესა, ვახტანგს ვითა წარმო- მივლინე ერთი ნათესავთა შენთაგანი და მე ვავუტო მახმად ყული ხან. და შენვე ჰმკვიდრობდე მეფეთ ქართ- ლსაო. ხოლო მეფემან წარმოავლინა მამა თვისი იესე და მი- სვლასავე თანა იესესა წარმოემართა ყარსით ჯარით და- დგა შამბიანს მაშინ მეფემან მიაგება ძე თვისი ბაქარ და მუნით მოვიდა სარასკარი დადგა. ყურყუთასა მხოლო მსმენელი ამისი მაჰმად ხული ხან შეძრწუნებული იქმ- ნა მიეგება სარასკარს მიუტანა კლიტენი ციხე ქალა- ქისა და სთხოვა მეფობისა არა მიღება. ხოლო მან არა ინება არამედ შეიპყრა პატიმარ ჰყო და ამასვე წელს თვესა ივნისისა შემოვიდა ტიფლიზსა შინა სარას- კარი და დასვა მეფედ ბაქარ. ხოლო ვინათგან არა ნები- საებრ თვისისა ამეფეს იგი თურქთა, ამისთვის წარ- ვიდა ბაქარ მამისა თვისსა თანა და წელსა ჩღკვ- წაბძანდა მამა ძმითურთ როსიად. წელსა ჩღკვ- იესე ძმა ვახტანგისა გაათათრდა და ამის გამო მისცეს მე ფოზა იესეს თურქა, გარნა არცა იგი ამეფეს ნები- საებრ თვისისა და მოკვდა მეფე იესე წელს ჩღლგ.

ამასვე წელსა ვახთა მეფესა მაჰმად ყული ხანს უღალ- ატეს თურქთა და მოკლეს სამზირალში და მრავალნი გლეხნი და თავადნი მოსწყვიტეს ჟამსა ამას თურქთა გარნა ვე- რცა მით ვახეთი მოსწყვიტეს ნებისაებრ თვისისა დაიპყრეს რომლისათვის მოინდვეს მათ ძმა მეფისა მაჰმად ყული ხანისა თეიმურაზ და მისცეს მას მეფობა ვახეთისა ვინ- ათგან სურდათ დაპყრობაცა ვახეთისა მსგავსად ქართლისა.

1-32 სტრ., 3

წელსა ჩღლდ უსუფ ფაშა მოვიდა დიდის ჯარით ქი- სიყს სოფლებსა შინა მაღაროს და დადგა მუნ რათა

ნებისა ებრ თვისისა დაიპყრას კახეთი. ხ~ ჰსცნა რა მეფემან თეიმურაზ ზაკულება ესე მათი მცისად შემოიკრიბნა ჯარები მიუხდა მათ ღამე ზედა დაესხა და გაემარჯვა მრავალნი მათგანნი მოსწყვიდნეს კახთა და არა მეოტ იქმნა უსუფ ფაშა ჟამსა ამას მიერთგან ოსმალთა ვერღა იკადრეს შესვლა კახეთად. ამასვე ჟამსა მოსრულ იყო განჯას თამაზ ხან რომელსა შ~დ ეწოდა ნადირ შაჰ. სცნეს რა ესე ქართველთა უკუდგნენ სრულიად თურქთა და შთავიდნენ განჯას ნადირ შაჰთანა. ამისთვის თურქთაცა შეირთნეს ლეკნი. მოუწოდეს ჯართა მათთა და სრულიად მისცეს აოხრებასა ქართლი და კახეთი და სომხით საბარათიანო, ესრეთ რომელ ქართლსა და სომხით საბარათიანოსა შინა არღა იპოვებოდა შენობა თვინიერ ციხეთა და სიმაგრეთა კიდე ამის გამო ქისიყელთა და გაღმა მხრელთაცა მისცეს პირი ლეკთა და მრავალნი გალეკდენ გარნა თავადნი და აზნაურნი ჰსდგეს მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა განამაგრეს თელავი და ალავერდი და შეჰკრიბენ მათ შინა ხოლო ვიეთნიმე მათგანი დაიხიზნენ ფშავის ხევს და ხევსურეთსა შინა კ~დ ლეკთა მიჰყვეს ჯელი ქისიყსა და გაღმა მხარსა არა დაინდვეს გალეკებულნი იგი და ესრეთ შეაწუხეს რომე მათ უღალატეს შიგ მრავალნი თვისნი ისი შემაწუხებელთაგანი მოსწყიდეს არღარა უკვე ისმინეს მათი და მოიყვანეს კ~დ მეფე თემურაზ ფშავიდამ და დასვეს მეფედვე:-

წელსა ჩღლე: განრისხებულთა ქართველთა ზედა ლეკთა მოარბიეს ქართლი ხოლო ჟამსა მას ძე მეფისა თემურაზისა ირაკლი იყო წლისა თხუთმეტისა რომელმან შემოიკრიბნა სოფლებიდამ ჯარები გამოეკიდა მათ, მოსწვდა მინდორს შინა ნეიშნისასა ეკვეთა მათ ძლიერად და კ~დ

1-32 სტრ., 4

ყ~თასა მოკლა კაცი ამისა მხილველთა კახთა ერთ პირად მიმართეს მათ და მოსცად ღ~თნ გამარჯვება ჰსძლიეს ლეკთა დააყრევინეს ტყვეები და საქონელი და მოვიდნენ მოხარულნი სოფლებითა მაღაროს რამეთუ იხილეს სიმხნე და ძლიერება მეფისა მისა ირაკლისი **ამასვე** წელსა ჩღლე ნადირ შაჰმან დემურ ტაშზედ მაისის ით-სარასკარი დაამარცხა და მოსწერა ტიფლისს მყოფთა თურქთა ივნისის ია, ვითა სარასკარზედ გავიმარჯვე

და თქვენ რაც იქით ამისი მსმენელი თურქნი შეშინდნენ ფრიად ივლისის ლ დღესა ოთხშაბათსა დაუტევეს მათ ტიფლიზი და განვლიტენ ჯელისაგან ნადირ შაჰსა, რომელი ოკტომბერსა ვ ტიფლისს შემოვიდა რა მოსცა მეფობა კახეთისა თეიმურაზს ხოლო ქართლისა ძმის წულსა მისსა ალიხანა და მასვე თვესა ოცდა ხუთსა ტიფლიზით გავიდა და ალიხანცა თან წარიყვანა ხოლო ტიფლიზის ქალაქსა შინა დასვა სხვა ერთი ხანი სახელით კიზილ ალიხანა

წელსა ჩღღვ ნადირ შაჰმან სეფიხან სარდალი გამოგზავნა ქართლს რომელმან მოუწოდა კახეთის მეფესა თეიმურაზს და თვითცა შეჰკრიბნა ქართველნი სოფლებსა შინა ფხვენის სადაცა ოდეს მობძანდა იგი უღალატეს მას. შეიპყრეს იგი სპარსთა და მათგანვე გივი ამილახვარი. არაგვის ერისთავი ბარამ და თარხანი ლუასაზ ხოლო ვახატანგ ჩოლოყა შვილი სახლთუხუცესი გივი და ქისიყის მოურავი ქაიხოსროვ ყოველნი ასე წარასხეს სპარსეთს. და ოდეს ისპაჰანს შეიყვანეს მაშინ პერობილობი განათავისუფლეს და პატივითა შეიწყნარნა ნადირ შაჰმან გარნა ნადირშაჰ ჟამსა ამას ყანდაარად გაემართა და მეფეცა თეიმურაზ თანა წარიყვანნა და ყოველნი რაოდენ იცნო ქართველნი და კახნი ახლდენ იგიცა თან იახლნა ხ ოდეს მიიწივნეს ყანდაარად იხილა მან ყოველი ერთგულება სიმხნე და ძლიერება ქართველთ კახთა რომლისათვის გამ

1-32 სტრ., 5

გამოუცხადა მეფესა ვითა ძე შენი დაიბარე და იგი ოდეს მოვა ყოველთა თქვენ დაგითხოვთო რომელმან თვითცა მოსწერა წიგნი დაბარებისა ირაკლის ქართველთ კახნითურთ და ოდეს მოუვიდა წერილი ვ ა მამისა თვისისა ეგრეთ ნადირ შაჰიცა აღმოიკითხნა იგინი უჩვენა ერსა თვისსა და ყოველი მოწერილობა აცნობა მათ მაშინ შეკრიბენ იგინი ერთად და ევედრებოდნენ წაუსვლელობასა სპარსეთად გარნა არა მიხედა აღთქმასა მათსა სათნო ეყო ბრძანებასა მამისასა და რქვა მათ უკეთუ მამასა ჩემსა მუნ მისვლით ჩემით განათავისუფლებენ ვითარ ძე ამაზე დავჰბრკოლდეო **და ამას განზრახვასა** ზედა წავიდა მეფე ირაკლი ყანდაარს წელსა ჩღღვ თებერვალში ნადირ შაჰს ყანდაარი აეღო მარტის ივ, დღესა და ოდეს შევიდა ირაკლი მყისვე ნადირშაჰსთან

წარადგინეს და მან რა იხილა ჰუბრძანა მას სახე შეჭუნვი-
ლმან არა გასთატლდებო. ხ~ ყარამამან მან ვითარცა მორწმუ-
ნემან აღიარა ვ~ა წინაშე მძლავრისა მის და ესრეთ პას-
უხ უყო სიკვდილი ჩემი ძალგის რამეთუ აწ ჴელთა
შინა შენთა ვარ. ხ~ რათა შეყრაც მაყოფინო ქრისტე ესე
კი არ შეგიძლიანო და ამას სიტყვასა ზედა უბრძანა ირაკ-
ლის ვითარ ამაზედ მე შენ ძალას არ დაგატან ნუ გეშინი-
სო. და მეორეს დღეს მოუწოდა ნადირშაჰმან მეფესა თეიმურ-
აზს და ყოველთა ქართველთა მყოფთა მოსცა ნება საქართვ-
ელოდ წარმოსვლისა და გამოისტუმრნაცა ხ~ თვით უბრძა-
ნა სპათა თვისთა გალაშქვრა და მეფის ძის ირაკლიცა თან.
წარიყვანა და ოდეს მივიდა ინდოეთის ჴელმწიფე ამად შაჰ
შემოება სამასის ათასის კაცით, გარნა ნადირ შაჰს გაე-
მარჯვა და მრთელი ინდოეთის საჯელმწიფო დაიპყრა მუნით
გამობრუნდა და სინდეთის დალაშქვრაც მოინდომა და ოდეს
სამძღვაროს მოადგა იხილა ქვა ერთი ინდოეთისა და სი-
ნდეთის განმყოფელი აღმართებული ძეგლად ამად რომე ვინ
ადგან ინდოეთსა და სინდეთის ჴელმწიფეთა აქუნდათ ყოვ

1-32 სტრ., 6

ყოველთვის ბრძოლა სამძღვარსა ზედა ამისთვის შეყრილ იყ-
ვნენ საჯელოვანი მოლანნი აზუნდნი და სხვანნი ერთგანიცა
მრავალნი ორისავ მხრივ აღემართა მუნ ქუა იგი და ზე-
და წარწერად წყევა სამტეროთ მას სამზღუარს გარდა
გასვლელთათვის იმიერ გინა ამიერ და ესე რა აღმოიკითხა
ნადირ შაჰმან დაუმძიმდა და მოხედა რა იხილა თვისთანა
ირაკლიცა და რადგან ფრიადი სურვა აქვნდა სინდეთისა.
ამად რქვა ირაკლის შენ რასა იტყვი ქვისა ამისათვის რო-
მელსაცა ზედა წყევა სწერა დიდი უკან ქცევა სჯობს
თუ ფიცის ამისა გატეხვა და სინდეთს შესვლა რა მოის-
მინა ესე ირაკლიმან მყისად გარდამოხდა ცხენით და და-
ადგა უშიშრად წინაშე მისსა და მოახსენა ჴელმწიფეო რად
შეიჭირვებ საქმისა ამისთვის თავმან თქვენმან ვგონებ
ქვა ესე არა იყოს ტვირთვი მძიმე სპილოსათვის უკ-
ეთუ ინებებს ჴელმწიფება თქვენი სპილოსა ზედა შევსდ-
ვათ ვოდოდეს სპილო იგი ყოველთა წინ და მას შეუდ-
გებოდეს მხედრობა თქვენი ვიდრეცა გენებოსთ ამ სიტ-
ყვასა ზედა ფ~დ მხიარულ იქმნა ნადირ შაჰ და ჯილდ-
ოდ უბოძა ირაკლის ოცი ათასი ოქრო. უბრძანა ალ-
ამში მოსვლა უჩვენა მარჯვენით კერძო უპირველესი

ადგილი ზემოთ ხანებითა და წყალობაცა მრავალი აღუ-
თქვეს ხ~ მოხსენებასა მას მისსა ზედა უბრძანა ნადირ
შაჰმან ქვისა მის შედება სპილოსა ზედა და ეგრეთ იწი-
ნამძღვრეს ქუა იგი და შეუდგა მხედრობა უკანით მისსა
და შევიდნენ სინდეთს და დაიპყრა ყოველი საჯელმწიფო
სინდეთისა მრავლითა ბრძოლითა და ყოველთა ბრძოლათა
შინა აჩვენა მხნედ თავი თვისი მეფემან მეფისაგან ირაკ-
ლი და შეიძინა სახელი უმეტეს ყოველთასა სპარსეთსა
შინა და დიდათ აქებდა თვით ნადირ შაჰ სიმხნესა და ბრძ-
ოლასა შინა მყარად დგომასა ირაკლისასა, ხოლო სინდეთით
გამობრუნებული ნადირ შაჰ მოვიდა ყანდაარს **წელს ჩდლოთ**
და ყანდა არს უბრძანა ნადირ შაჰმან მეფის ძეს ირაკლის

1-32 სტრ., 7

ვითა მრავალთა ერთგულებისა სიმხნითა და სამსახურისა შე-
ნისათვის ნება მომიცემია შენს ქვეყანას წადი და ნიადაგ
ჩვენის წყალობის მოიმედე იყავო ირაკლიმან მადლობა მო-
ახსენა და წარმოვიდა ყანდაარიდამ მაისის კწ და სეკტ-
ებერის იგ~ისა ღამის მეოთხის საათზედ ალავერდს მობძ-
ანდა. ხ~ ნადირ შაჰმან განიზრახა თურქისტანზედ მისვლა
და ოდეს მიახლოვდა ბალხი ბუხარი ორგანჯი სამარყანდი.
და მრთელი თურქისტანისა სამეფო დაიპყრა და მუნ რავდე-
ნიმე ხანი დაუგვიანდა და შემდგომად დაღისტანზედ წა-
მოვიდა და ლეკნი ძალზე შეაწუხნა ბრძოლითა და ამა ჟამ-
სა შემოაწერა საქართველოსაცა სურსათი ამისა. გამო
ვიეთთამე ქართველთა ვერ შემძლებელთა აღსრულებად ესე
ვითარისა სამსახურისა ნადირ შაჰისადმი მორიდეს მას-
თავი მოიყვანებდეს ჯართა თურქთა და ლეკთასა აომრ-
ებდეს და ატყვევებდეს ურთი ერთსა ხ~ აქეთის მხრით
ტიფლისს მჯდომი ხანი ებრძოდა მარადის ქართლსა
და ესე ორნი მხარენი ძნიად შეაწუხებდეს მას და რა თვ-
ითცა მოიღალა ბრძოლითა აცნობა ყოველი მდგო-
მარეობა საქართველოსა ნადირ შაჰს ხოლო რა მან სცნა
ესე განძვინდა ფ~დ საქართველოსა ზედა და განიგულა
აყრა და სრულიად მოსწყვეტა ქართლ კახეთისა გარნა
მეფემან თეიმურაზ რომელსა აქუნდა არა ვითარიმე შეც-
ოდება მასთანა თვინიერ ერთგულებისა და თანადგომი-
სა წარავლინა თამარ დედოფალი ასული მეფის ვახტა-
ნგისა ვედერბად მისსა რათა დამშვიდდეს გულის წყრომა
მისი ქრისტიანეთა ზედა და ოდეს მივიდა დედოფალი თა-

მარ ნადირშაჰთან დაღისტანში მაშინ გამოუცხადა უცოდველობა მას მეფისა თეიმურაზისა და ერთგულება მისა თვისისა ირაკლისა, რომელიცა საქართველოსა მოსასვრელად განმზადებულ მყის მოალბო ვითარცა მამა შვილთა ზედა და რომელმან პატივ სცა მას დედბრ აღუსრულა ყოველი ვედრება და გამოისტუმრა კახეთად, ხ^ე თვით

1-32 სტრ., 8

მოსწერა წიგნი ტიფლიზის ქალაქსა შინა მყოფს ხანს რათა დაუძინებლად ბრძოდეს მომდგართა მათ ქართველთა მიიღო რა წერილი ესე ნადირ შაჰისაგან ხანმან მან მყისად განრისხდა ქართველთა ზედა შემოუძახა სპარსთა სპარსეთისათა აწურის ხევსა შემუსრა იგი გამოიყვანეს მუნით ქსნის ერისთავის შანშენს ცოლ შვილი და ძმებისა მისისა ხ^ე შანშე ივლტოდა ახალციხედ და ესრეთ ჰმონებდა ვითა აქათით გამოიყვანა ჩემი არავის ძალუცსო. გარნა სთხოვეს რა სპარსთა იგი თურქი: მყისვე დაჭერილი წარმოგზავნეს და მცირესა ოდეს ჟამსა შემდეგ შეიპყრეს მამაც მისი იესე სპარსთა და გაისტუმრეს ცოლ შვილი თურთ ხორასანს. იგინი ჟამსა ესე ვითარსა იპოვა დრო გივმან ამილახვარმან დაიპყრა ქსნის ხევი და მამულიცა შანშესი კ^ედ ჟამსავე ამას, მოკლეს ყმათა თვისთა არაგვის ერისთავი შაჰსან და მან იწყო შეწევნითა თურქთათა დაპყრობაცა არაგვის საერისთაოსი ამის გამო კ^ედ ტიფლისის ხანმან წერილითა ნადირ შაჰს ესე ყოველი წინააღმდეგობა გივისა ამილახვრისა და ერთგულება მეფისა თეიმურაზისა და მისა მისისა ირაკლისა ხ^ე მანამ მოუმცნო მეფესა თეიმურაზ ბრძოლა გივისა ამისახვარისა რომელმან განამაგრა ციხენი ქსნის ხევისანი და შეიყვანა შიგა შვილი თვისი რევაზ მას შინა. გარნა მეფემან თეიმურაზ და ძემან მისმან ირაკლი მრავალსა წყალობისა აღთქმითა მოიხედეს რევაზ თვის კერძ. რომელმან მოსცა გამაგრებული იგი ციხენი მათ. ვიეთთამე ქართლიცა თავადთა მოუწოდეს მეფის ძეს ირაკლის და ესე ირაკლიცა გაემართა მათკენ სამასის კახითა და სამასისა ლეკითა ამათ შემოეყარნენ რაოდენიმე თავადნი ზემო ქართლელნი და ესენიცა თან იახლნენ ირაკლის რომელმან ოდეს მიაწია აბო წმინდას ჩამოახდინა მუნ ყოველნი დადგომად ესე სცნა რა გივმან ამილახვარმან

1-32 სტრ., 9

რომელ იდგა მას ჟამსა სურამს შემოიკრიბნა ჯარები ოს-
მალთა და ლეკთაგან და რაოდენნიმე ქართველთაგანიცა შემ-
წე ექმნენ მას აღსდგა გამოუძღვა ჯართა მათ რომელნი
იყვნენ ვიდრე ხუთ ათასამდე მოიყვანა იგინი ადგილ-
სა მას სადა იყო ჩამომხდარ ირაკლი და ღამით განთი-
ადისა ჟამსა დაასხა თავს და ჰგონებდა ყოველსა წარწყმ-
ედასა გარნა ირაკლიმან ვითა ლომმან შემოუძახა თვისთა
მათ მცირეთა თანა მყოლთა განაგო იგინი და უბძა-
ნა შეტევება და ესეთი ძლიერი ბრძოლა მოუხდათ რომე
არცა ერთი მეზრდოლეთაგანდა ჰმონებდა ირაკლის კერძ:
სიცოცხლესა თვისსა გარნა მხნესა მას ლომასა ბრძოლა-
სა შ`ა მოსცა ღ`თნ გამარჯვება და გააქციეს დანარჩო-
მნი იგი ლეკნი და თურქნი გივი თურთ მივიდნენ სუ-
რამს, ხ` ძე მეფისა ირაკლი გამარჯვებული უკუნ-
იქცა კახეთად და მეფე თეიმურაზ მივიდა და ზემო ქარ-
თლში სოფელსა ერედუეს და დადგა მუნ:

ამ ჟამად ძველი ყენის შვილი გაქცეულ ნადირშაჰისაგ-
ან იმყოფებოდა დაღისტანს მუნით გამოიყვანეს იგი
ლეკთა და ქსანზედ გივი ამილახვარი ეგულვებოდა იქით.
წამოიყვანეს ამისა მცნობელმან ირაკლი შემოიკრიბნა
რაოდენნიმე კაცი მსწრაფლ გამოეკიდა მას ყანჩაეთს ქს-
ანზედ მოსწვდა იგი ყენის შვილი შეიპყრა და შეპყრობი-
ლი თავის მამას ერედუს მეფეს თეიმურაზს მიაართვა.
მანცა ძე თვისი ირაკლი ნადირ შაჰსთან გამოისტუმრა
და იგიცა თან გაატანა გარნა მაშინ თურქთ მოსულს ჰბრ-
ძოდა, ნადრ შაჰ რომელსაცა მიესმა ვითა შირვანი
უკუდგაო ყენისა იგი შვილი მიიყვანეს და დაღისტან-
იც ითანახმესო და იგი გააქელმწიფესო, რომელისათვის ფრ-
იად განრისხდა ნადირ შაჰ და თავისი შვილი ნასრული
მირზა გამოისტუმრა მას ზედა დიდის ჯარით. ხ` ოდეს
ნასრული მირზა მოვიდა შირვანში გასასვლელად იმ.
ჟამად მეფის ძე ირაკლი წინ შემოხვდა და თვით ყენის

1-32 სტრ., 10

შვილი რომლისათვისცა წამოსრულ იყო ნასრული შეკრ-
ული ჯელითა შინა მისცა მას რომელმანცა მრავალი მა-
დლობა უბრძანა მისწერა მამასა თვისსა ნადირ შაჰს
ესე ყოველი ყოფილი, ხ` ირაკლის თავისთანა მოაც-

დევინა ნადირ შაჰ მოსულიდამა წამოსრული ლამოდა კარსის ციხეზედ მისვლასა და ამას გზასა ზედა სრბოლასა მისსა მოუვიდა წერილი მისა თვისისა რომელსა დიადი მხიარულება შეეძვა გულსა და ამა კეთილისა წინ რომელი უქმნა მეფემან თეიმურაზ მას მოუბოძა მან ათასი ოქრო და ამცნო ტიფლიზს მჯდომს ხანს კილიჯ ალიხანს მეფის თეიმურაზისათვის იხტიარობა მომიცემია და ყოველსავე საქმეს მამას უნდა ჰკითხევდეთ და თვით შემოადგა კარსის ციხესა და შვილსაცა უკუნ ქცევა უბრძანა რომელმან ოდეს მიიღო წიგნი მამისა ირაკლის ფ~დ მადლობა უთხრა ადავსო მრავლის წყალობითა და გამოისტუმრა ამა დარწმუნებულის სიტყვით რომე რადგან აწ შენ ეჭირვები ქვეყანასა შენსა იქ მიეშველე და ამის მაგიერს წყალობას მოელოდეო.

წელსა ჩდმდ: წარმოუვლინა ხონთქარმან უსუფ ფაშა სპითა დიდითა წარმოატანა ხაზინა გასაგზავნად დაღისტანში და რათა მუნით გამოიყვანოს ჯარები მოსაშველებლად გივისა ამილახვრისად მოსარბევლად ქართლისა რომელნი ესე შეიყარნენ და დადგნენ რუისად ესე სცნა კილიჯ ალიხან და წარმოუდგინა წიგნი თეიმურაზს მანცა შემოიკრიბა ჯარები და წარმოემართა სწრაფად და მოვიდა ხანსა თანა ესე ორნივ მიესივნეს საბრძოლველად მათ გარნა დაიბანაკეს რა ამათ გორს ისინიცა მოვიდნენ დგომად პირის პირ მათსა და დადგენაცა თედო წმინდას მცირეცა ოდებ ჟამს შემდგომ ეკუთვნენ იგინი ურთი ერთსა ძლიერად გარნა სპარსნი ქართველთურთ ძლეულ იქმნენ თურქთა მიერ და გამოქცეულნი ესე ქართველნი მოვიდნენ გორს ხოლო თურქნი რუითს

1-32 სტრ., 11

მაშინ მოიყვანეს დაღისტანის პირველი ბელადი მალაჩი მიაზარეს დაღისტანს გასაგზავნი ხაზინა ესე წარგზავნეს ორი ათასის ლეკით და ორი ათასისა ოსმალიცა თან გაატანეს, ხ~ ესე საცნაურ იქმნა რა ირაკლისა შემოუბოძა თვისთა მათ უძლეველთა მოყმეთა რომელსა კ~დ ტიფლისითცა მოერთვნეს ვიდრე ორასამდე კაცნი და ამ ლომ გულთა ჭაბუკთა იმედითა შეუკრა მალაჩის ირაკლიმან გზა არაგვის პირსა და ამის მეორეს დღეს მინდობილი ძალთა ზედა თვისთა ლეკნი მოადგნენ არა-

გვის პირს და ისურვებდეს გამოსვლასა მაშინ ირაკლი-
მან ხმა უყო სპარსთა თვისთა და ვითა შავარდენი ეგრ-
ეთ მიეტევა მათ იქმნა ბრძოლა ძლიერი განმრავლდა
ხმა თოფთა ცემა და შეკრესცა ლეკთა სანგარი მხი-
ლველი ამისი ირაკლი ფრიად განრისხდა შეაგდო ცხე-
ნი წყალსა რომელი იყო მაშინ დიდ განვლო გავიდა და
ვითა არწივი ტრედთა ეგრე მიუხდა გულ უშიშრად
პირველსა მას ბელადსა მალაჩის მისცა თოფი და მია-
ბარა სული მისი მაჰმადსა ამისა მნახავთა ქართველთა
არ დარიდეს თავი თვისი სიკვდილსა განვიდნენ წყალ-
სა დასცეს ხმა დიდი შეუტიეს და დააგდებინეს სა-
ნგარი ამის გამო იშლივნენ ოსმალ ლეკნი გაიქცნენ
და ესენიცა მიჰყვნენ ვიდრე ქსნის გაღმა ოკბადამდე
მრავალი მათგანი მოკლეს და დააგდებინეს ხაზინაცა
და დამარცხებულნი მივიდნენ რუის უსუფ ფაშასთან მათცა
ფ~დ შეეშინათ მასვე ღამესა აიყარნენ და გაიქცნენ ამა
სიმხნისა ძლიერებისა და ერთგულებისათვის მიუწერა ხა-
ნმან ირაკლის ნადირ შაჰსთან რომელსა დიადი სიყვარუ-
ლი შეეჭრა გულსა მისი და რომელმან მადლობისა წილ ჯილ-
დოდ მოსცა ცხენი ოქროს იარაღით აკაზმული ხმალი
მძიმედ მოჭედილი და მეფობა კახეთისა ხ~ მამას მის-
სა მისცა ქართლისა.

წელსა მასვე ჩღმდ ნადირ შაჰს გამობრუნებულსა ყარსით

1-32 სტრ., 12

ყაზახზედ მისასვლელად მიეგებნენ წინ მეფე თეიმურაზ მეუღ-
ლე მისი თამარ და ძე მათი მეფე ირაკლი აზოას რომელ
არს ყარაყული სადაცა დიდისა პატივითა ესენი ნადირ შაჰს მი-
ერ მივდებულ იქმნენ რომელთა სთხოვეს მას ერისთავი
შანშე ძმისწული მისნი და ცოლ შვილნი მისი: რომელმან
შეურაცხჰყო თხოვა მათი და ძალიად მისწერა ხორასანის
ხანს წიგნი მათისა განთავისუფლებისა და ამა სიყ-
ვარულით გაიყარნენ ნადირ შაჰმან კაზახი ნახა ჩაიარა
განჯაზედ და მივიდა გულამს სადაცა დაჰყო მცირე
ჟამი, ხ~ ოდეს მისლოდა ხორასანს ხანს ბრძანება ნა-
დირშაჰისა მყისვე განეთავის უფლებინა შანშეს ცოლ
შვილი და ძმის წულნი მისნი რომელნი მოვიდოდნენ მეფე-
თა თანა და მათცა თურქთა მიერ წართმეული მამული
მიუბოძეს ფ~დ და ერსითაობაცა ქსნის შანშესვე
მისცეს:-

წელსა ჩღმე: გივმან ამილახვარმან თურქთა ძალით სურამის ციხე დაამაგრა თვითცა შევიდა და დადგა მუნ და ვინათგან ამა მეფეთა და გივისა ნიადაგ ურთი ერთში მტერობა ბრძოლათა და უბრალოთა ერთა სისხლთა ღვრა აქუნდათ ამისთვის უკანასკნელ მეფენი განრისხდენ მათს ზედა მოუწოდეს ტიფლისის ხანსაცა და ძლიერის ჯარით შემოადგნენ ციხესა მას სურამისასა აღიღეს იგი დიდისა შრომითა გამოიყვანეს თვით იგი და წარგზავნეს შეკრული ნადირ შაჰსთან და ამით მცირესა ხანს იქმნა დამყუდრობელ საქართველო გარნა მძლავრსა მას ჯელმწიფეთსა სპასრთასა ოდეს სძლით ეშმაკმან შეეჭრა გულსა მისსა განაგვინა იგი ყოველსა ზედა სამფლობელოსა მისსა რომელი ჯერეთ არა ოდეს ესრეთ განრისხებულ იყო მას დასდვა ყოველთა ქვეყანათა ხარკი და საქართველოსაცა შემოაწერა არბაზი რომლისა არა ვითართა ღონის ძიებითა შემძლებელ იყვნენ აღსრულებად რომელსაცა თვით სპარსთა არლა სცეს დრო.

1-32 სტრ., 13

ამის ყოვლისა აღსრულებისა და მოკლეს რომლისაცა მოადგილედ დასვეს ჯელმწიფე ძმის წული მისი ადილ შაჰ და ესე იქმნა ყოველი:

წელსა ჩღმზ: ხ~ ამა ჯელმწიფემან ადილ შაჰ მოუწოდა მეფესა თეიმურაზს და თეიმურაზმან მოინდომა რა წარსვლა მიაზარა ქართლი ძესა თვისსა ირაკლის და დაავედრა საქმისა კითხვა ესე მეფის ძის აბდულაბეგისაცა რომელმანცა ოდეს გაიგულა მეფე თეიმურაზ ისპაჰანად იპოვა დრო და გარდაიბირნა რაოდენიმე ქართველნი და სომხით საზარათიონი მოიყვანა ყიზილბაშის ხანი სპაზ იხტიარი ჯარით მანცა ყარაბაღის ხანები დაღისტნის ხანი აზატ ხან და საქართველოს ელები რომელ არს შამშადილი. ყაზახი ბორჩალო დემურჩი ახალი ბაიდარი და სხვანი ყოველნი სურდა ოიმაღლები და მივიდნენ ტიფლიზს სიახლოვეს აქათით გაიგება ახალ მოყმე და მამაცი ირაკლი თვისთა გულოვნითა და მრავალთა ბრძოლათა შინა გამოცდილთა ქართველითა უშიშრად ეკვეთნენ ურთიერთსა ძლიერად და შეწევნითა. ჯვარისათა შეიმოსა ირაკლისაგან ძალი და ეგოდენი ურიცხვი ჯარი მათ დაამარცხა რომლისათვის სირცხვილელ ქმნილნი აბდულა ბეგ შევიდა ციხეთა სამშვილ-

დისასა და გამაგრდა მას შინა და მუნით:-

წელსა ჩღმწ მოაცთუნა ტიფლისის მეციხოვანნი რ~ სხვა გზის არა ძალ ედვალა პირის პირ ბრძოლა მეფისა ირაკლისი და აღტეხნა იგინი ციხით გამო თოფთა და ზარბაზანთა სროლად თვით ქალაქსა შინა ხოლო ციხესა მას შეაშველა ხუთასი ლეკი. ამას ზედა აღეგზნა მეფესა ცეცხლებრ გული განრისხდა ფრიად მას ზედა და იყო დღე ყოველ ბრძოლა მოუკლებლად ჟამსა ამას დაღისტნით გამოსულ კოჯახს ჩამოველო ავჭალაზედ ტყვე და საქონელი ეშოვნა მრავალი და წყნარისა სიარულით მიწოდობილი დიდ ვაჭარსა ზედა თვისსა მოვიდოდა მშვიდობით ესე მოხსენდა ირაკლის ამან ციხესა მან არ ჩამოაცალა

1-32 სტრ., 14

ჩამოაცალა ჯარები ორასი კაცი თან იახლნა და გამოეკიდა მას სატიოზედ მტკვარში განვლო მოვიდა ქისიყს ყისიყითაც ჯარები შემოიკრიბა ნაპირის სოფლებიდან გარდაასწრო დახუდა შირაქს და იქ შეება მას მოხვდა ბრძოლა დიდი და თოფთა ცემა, გაგრძელდებოდა და ირაკლი განამხნობდა თვისთა მათ ხ~ მათ ძალი შემოაკლდებოდათ მოსცა ლ~ თნ ძლევა ძესა მეფისასა რომელმან უკვე დასცა მათ ზედა რისხვა ლ~ თისა მოკლეს ქართველთა მრავალი ლეკი ტყვე და საქონელი დააყრევინეს და გამარჯვებულნი უკუნ იქცნენ და ჩამოხდნენ იმავე შირაქის თავს დედოფლის წყაროზედ და ესე დამარცხებული ჯარი მოვიდოდა რა გზასა ზედა შემოხუდა დაღისტნით კ~ დ გამოსული ჯარი რომელთა უთხრეს ყოველი მწუხარება თვისი ურთი ერთსა და მათ ახალთა უთხრეს ყოჯახ ბელადს ვითა უკეთუ თქვენს ნაშოვარს საქონელსა და ტყვეში ჩვენცა მოგვცემთ ნაწილსა დღეს ისინი ვერსად გაგვასწრობენ გიშველით მივეწივნეთ და ისევ დავაყრევინოთ რა ესე სთქვეს ყოჯახს დიდათ იამა გამხიარულდნენ შეითქვენ და წარმოვიდნენ იმ ღამეს იარეს და მეორეს დღეს განთიადზედ მეფეს ირაკლის დედოფლის წყაროზედ თავს დაესნენ, გარნა ლომი იყო ლომთა ვეფხვებრ ზე ცხენსა მოაჯდა დაცალა თოფი და მოკლა ერთი მათგანი უწინარეს ყოველთა და უბრძანა მხნედ შეტევა მათი ერთგულთა თვისთა რომელთა უმრავლესი ნაწილი ლეკთა ამოსწყვიტნეს და იქმნა დამარცხებაცა მათი უმეტეს პირველისა მუნით მობრძანდა ტიფლიზს და აიღო ციხე ტიფლისისა და მას შინა დაადგინა

მეციხოვანი თვისნი მოვიდა კ~დ სადაცა ეგულვებოდა აბდულა შემოადგა ციხესა მას სამშვილდისასა და იგიცა აიღო და ოდეს დააწყნარა მტერთაგან გარემო სოფლებისა რბევა და სხვა მწუხარება უკუნვე იქცა ქალაქად ამ ჟამად მეფეცა თეიმურაზ წარმოსრული ერევნიდამ:-

წელსა ჩლმთ: შემობრძანდა ტიფლისს ძესა თვისსა ირაკლის

1-32 სტრ., 15

ირაკლისათანა და ესე ორნი მეფენი მამა ძენი ესე ოდენ ჟამ ურთიერთისა უნახველნი დასტკბებოდეს ჭვრეტითა და სიყვარულითა უზომოდთა ხ~ ერანს მოკლეს ამასვე წელსა იბრეიმ ხან ამის გამო აღიარა ძლიერ იგი საჯელმწიფო და იქმნა ტყვევნა და ტაცება ოხრება და რბევა ქალაქებისა მის საჯელმწიფოსა და ამას აღრეულებასა შინა სპარსეთისასა აღრებაჟანისა მხარეს გამოჩნდა კაცი ერთი სახელით მამად ხან რომლმან შეიმოსა ძალი და დაუწყყო ქვეყნებისა რბევა უმეტესად ერევანსა და რა ძალზედ შეაწუხა მან ერევანი მოართვეს წიგნი ერევნელთ ამა ორთა მეფეთა და სთხოვეს შემწეობა პირობითა ამით რომე უკეთუ მოგვარჩენთ ამა მძლავრებასა მაჰმად ხანს ვითა სხვანი მონანი თქვენი ჩვენცა ეგრეთ გემსახურებითო და ამა პირობასა ზედა წარემართნენ მამა ძენი მათ საშველად და არა დაუახლოვდნენ ერევანს ირაკლიმ ხუთასისა ოდენ კაცით იწყო წინარე სვლა რომელსა შემოხვდა მამად ხან თვისის ჯარით და გარდაიხადეს ბრძოლა დიდი და ამას ბრძოლასა შინა იქცეოდა სწრაფად ირაკლი ხოცდა მათ და იგი უზომოდ და რა იხილა მეფემან საქმე გაჭირვებისა ხმა უყო მებრძოლთა თვისთა დეერივნენ შინაგან მათსა განმრავლნეს ქართველთა თოფთა ცემა მოიგეს სიმხნე და ხმალთა ელვას მიუმატეს ჰკაფდენ მტერთა თვისთა ვითარცა ღორთა და აღისვო მინდორი იგი. მოგვრითა მათითა. მაშინ შეშინდა მაჰმად ხან და გაიქცა ყარაბაღში ხორგვირ-აპოს ციხე გამაგრებული ჰქონდა ცოლშვილი თვისი მუნ ჰყვანდა და უბადრუკმან ვერღა ისწრო გამოყვანა მათი ამისთვის მისდევდა უკან მას ძე მეფისა ირაკლი შემოადგა ციხესა მას აღიღო იგი და გამოიყვანა ცოლშვილი მისი და რაც აქუნდა ხაზინა ბედ მლაშესა მას იგიცა სულ გამოიტანეს რომლისა სიმხნესა ზედა ერევნელნი მყოფნი ციხესა შინა თვისსა

1-32 სტრ., 16

და მუნით მჭვრეტნი განჰკვირდებოდეს ფ~დ ყოვლისა მის-
თვის რაოდენი ჰქმნა მუნ ირაკლი და მიერ მობრძანდა
გამარჯვებული ირაკლი ერევანს და მამასა თვისსა გამარ-
ჯვება მიულოცა და პირსა აკოცეს ურთიერთსა მაშინ
უკვე მოხარულნი სულითა ერევნელნი იგი არღა იყოვნე-
დენ მათთანა მოსვლასა და თვით ერევნის ხანიცა
მოულოცვიდიან გამარჯვებასა, მოსცემდიან თავთა თვის-
თა მონად დაიდებდენ ხარკსა თვით და დასვესვე ბძა-
ნებითა მათითა ერევნისავე ხანი. დახვდებოდენ მათ
სავსედ ყოვლისა კეთილითა და ესრეთ გარდიხდიდენ
ვალთა თვისთა ჰსცნეს რა ესე ხანებთა რომელ არს
ფანა განჯის შავერდი ხან ნუხის ხანმან ჰაჯიჩალ-
აბ და ეგრეთვე კარაბაღის ხანმა რა მეფე თეიმურაზ
და მეფე ირაკლი იმყოფებიან ერევანს შემოიკრიბენ ჯარები-
თა ყაზახს რათა მუნ ბრძოლა ჰყო მათთანა და ამას
შეკრებასა მათსა კაზახს მეფენიცა ჯარითა თვისითა
შემობრძანდნენ მუნვე ხ~ მათ რა იხილეს შეშინდნენ
მირიდეს თავნი და მიატანეს სიმაგრეთა და დაუწყეს
ლაპარაკი მშვიდობისა ზავ არ ჰყვეს ლაპარაკი იგი ურთი-
ერთ არს იგინი მივიდნენ თვისთა ადგილთა ხ~ მე-
ფენი ჩამობრძანდენე ტიფლისს გამარჯვებულნი და იყო
ესე ერევანი მოხარკეობასა ქვეშე მეფეთასა ვიდრე მო-
სვლამდე საქართველოსა შინა ყაჯარი აჰმად ხანისას
რომელმანცა ვერცა თვით მოშალა სამსახური ერევ-
ნისა საქართველოსადმი:-

წელსა ჩდნ: ყარაბაღის ხანი ფანა წარმოვიდა განჯაზედ
ხ~ განჯით შეერთვად მეფეთა წიგნი ამის ყოვლისა საცნობ-
ად და შეწევნისა მათდა მიცემად და ვიდრე მეფენი ესე მი-
ვიდოდენ. ფანა ხან განჯას შემოადგა და ლამობდა ალებ-
ასა გარნა ოდეს მეფენი ესე ჩავიდნენ მაშინ სცნა
ესე ფანა ხან და თვისავე ქვეყანასა უკუნ იქცა და ჯერე-
ბის განსამრავლებლად და მიაწიეს რა ამათ განჯად მაშინ

1-32 სტრ., 17

თვით შავერდი ხან განჯის ჯარით წინ შემოხვდა და
ესენი ერთობ მოუხდნენ ფანა ხანს შიგნით ყარაბა-
ღში ფანა ხან წინ მოეგება დიდის ჯარით და დადგნ-
ენ ერთით მეორეზედ მოგორვებით ხ~ მეფე ირაკლი ორ-

ასის კაცით წარვიდა ჯარების დასახედათ და მათ ესე მსვლელობა ამათი შეიტყვეს და შემოუტიეს მეფემან ირაკლი გაგზავნა კაცი ამა ჰამბის საცნობელად ცხებულს მეფეს თეიმურაზთან და თვით მეფე ირაკლი მით თანმყოლთა ჯართა დაუდგა პირის პირ რომელ საბრძოლველად მტკიცეს ვითარცა ანდამატი და შეექმნათ ბრძოლა ძლიერი და ფიცხელი და მრავალ ჟამ თოფთა ცემანი და ხმალთა კვეთებანი გაგრძელდებოდა და ესე ვითარცა სასტიკსა ბრძოლასა შინა მოეშველა მეფეც ცხებული თეიმურაზ გულოვანთა ქართლოსიანთა და მხედრობითა გარნა მოსვლადმდე მათსა მოსცა ძლევა ძლიერმან მარჯვენამან ზენამან მეფესა ირაკლის და დაამარცხა ურიცხვი იგი მოქადული ჯარი და გაქცეულთა მოსწვდნენ მეფისაცა თეიმურაზისანი ურიცხვედნი მათგანნი მოსწყვიდნეს და მრავალნი შეიპყრეს და ესრეთ მოხარულნი ადიდებდეს მომცემელსა მას ძლევისასა ხ~შ~დ ძლევისა მამა ძენი მეფენი წარმოემართნენ ყარაბაღის მოსარბევლად და არეხს გამოღმა მრთლად ყარაბაღი მოარბივეს მრავალი ალაფი იშოვნეს და დაჰყვეს მუნ თვე ორი მოინდვეს სრულნი კარაბაღელნი და დასდვეს ხარჯი ვითარ იგი ენებათ და ეგრეთვე განჯასაცა და მოართვეს მტკიცე მოართვეს მტკიცე პირობა ოდესცა უბრძანებდენ სრულითა ჯარითა იახლებოდენ და ამსახურებდენ და შემდგომ წარმოვიდნენ ორნი ესე მეფენი უძლევეთა და გულოვანითა მხედრობითა თვისითა ტიფლისს გამარჯვებულნი ამასვე წელსა დადისტნელნი ჩვეულებისა ებრთვისისა ქურდულად ჩამოვიდნენ ელების მოსარბევლად.

1-32 სტრ., 18

რომელთა უკვე სრულ ჰყვეს სურვილი თვისი რ~დარბევითა მათითა იშოვეს მათ ტყვე და საქონელი მრავალი. ესე მოხსენებად მეფეთა და მსწრაფლითა სიარულითა გამოევიდნენ მათ და სადაცა ერთვის იორის მდინარე ალაზნის მდინარესა იქ მოსწყდნენ და შეექმნათ ფიცხელი ომი გააქციეს იგინი მრავალნი მათგანი მოკლეს და უმრავლესი რიცხვი მათი ალაზნისა შინ მოიშთვა და ხ~დანარჩომთა მათ გაჰყვენენ მათ და გაღმა მიატანეს ერთსა რომელსამე ფლატიანს გორას და ოდეს მიაწიეს ლამოდენ მუნ გამაგრებასა და ჟამსა ამას ფლატიანი ყოფილ იყო დამწვარი მოსდგა იგი-

და სრულად წარწყმინდნა ყოველნივე იგი და მიერთ-
გან ვერღარ იკადრეს ლეკთა გამოსვლა ჯარად ხ[~]
ავაზაკობასა თვისსა ქურდულად არა დასცხრებოდენ:-

წელსა ჩღნბ ქ[~]კს ჟღთ: წაბრძანდნენ მეფენი ესე ორნი
ქარისა და შაქი შირვანისა დასაპყრობად ამათ მოერ-
თუნენ განჯა ყარაბაღის ჯარები და თვით ხანებიცა
თან იახლნენ. მირავიდნენ სამმღვარს ქარისა თავი
დაანაბეს და იმას ქვემოთ აგრიზედ დადგნენ მოვი-
და ნუხის ხანიცა აჯი ჩალაბი ქარელთა ჯარით და
დგა პირისპირ მათსა რომელი განეზრახა მეფეთა
თანა მყოფთ ხანებს გარდაიბირნა იგინი და ესრეთ
მეორეს დღეს შემოება აჯი ჩალაბი მათ მეფეთა ეკ-
ჟთვნენ ურთი ერთსა ძლიერად ქართველთა სამი და-
სტა მათი დაამარცხეს და ორი მტკიცე სანგარი გა-
ტეხეს იხილა რა აჯი ჩალაბ რ[~] არაცა სარგებლობ-
ასა მიიღებს ქართველთაგან მირიდა მათ და მიუხდა
ხანთა მათ. ხ[~] ვინათგან იგინი პირველვე შეთქმ-
ულ იყვნენ უწინარეს მისვლისა გაიქცნენ პირობი-
სა ებრ და წარვიდნენ მშვიდობით ხ[~] ქართლოსიანთა
რა იხილეს ღალატი ყიზილბაშთაგან აღირივნენ და
გამორიდესცა თუმცა მეფენი იჭირვოდენ გარნა ვერღა

1-32 სტრ., 19

ძალ იღვეს დაბრუნება მხედრობათა თვისთა და ეს-
რეთითა შემთხვევითა მრავალნი გულოვანნი მებრძ-
ოლნი მოსწყდეს ბრძოლასა შინა და უმრავლესნი ალ-
ახანსა შინა მოიშთნენ. ხ[~] მაშინ გულოვანი იგი
გმირი დავით ლარაძე ძლიერად სდგა ბრძოლასა
შინა რომელმანცა მოართვა მეფეთა სამი ჩინებულ-
თა მებრძოლთა თავი. გარნა ძმა მისი პაატა მო-
კლეს ბრძოლასა შინა და ესრეთითა შემთხვევისა მი-
ერ მჭკუნვარენი მეფენი შემობრძანდნენ ტიფლიზსა
შინა ესე იქმნა თვესა თებერვალსა:-

ამასვე თვესა ივნისისა მუსახან მოვიდა ძალითა
ზატ ხანისათა ერევანს და დაუწყო რზავა, მაშინ აზ-
ატ ხანს ეპყრა მიდია და იწოდებოდაცა მპყრობე-
ლად სპარსეთისად ამისთვის აუწყესთ ერევნელთა
მეფესა და სთხოვეს შეწევნა რომელმანცა ინება მი-

შველება მათი შემოიკრიბა მეფემან ირაკლი და წარმოემართა ხოლო სცნა რა ესე მუსახანმან მსწრაფლ შემოეცვალა ერევნის ციხესა და მეფე ირაკლი შებ-
ძანდა ერევნის ციხესა განამხნო მყოფნი მას შინა და უსაზრდელონი აღავსნა სურსათითა თვით გამოვიდა ციხით და საშუალ ქანქარისა და ყარაბა-
ლისა დაგდა მახლობელ ერევნისა. მაშინ მუსახანმ-
ან შიკრიკთა აცნობა აზატ ხანს და მან შეკრი-
ბა ჯარი ყიზილბაშისა და ავღანისა ვითარცა ორ-
მოცი ათასი აქვსნდა თორმეტი ზარბაზანი და ორ-
ასი ზანბურავი, მოვიდა და ჩამოხდა გარნი ჩაიზედ რომელი შორავს ქანქარს ოცითა ვერსითა ჟამსა
მაწუხარისასა მოხსენდა მეფესა ირაკლის მოსულა მისი და
მან მოუძგნო თვისთა დიდებულთა ბრძოლასა შინა
რა იმედოთა გვამთა და შეჰქმენს რჩევა და თათბირი
ზოგთავე ამჯობინეს გამობრუნება და
ზოგთა ბრძოლის ყოფა გარნა მცირე ორისა თვის.

1-31 სტრ., 20

სპარსთასა უმეტესნი არჩევდეს გამობრუნებასა გარნა მეფემან ვითარცა აძლევდა მხნე გული თვისი არა
ინება უკუნ ქცევა და ბრძანა ესე უწყოდეთ რომე მე აზატ ხანის შეუბმელი არ დავრჩებიო ამაღამ
რომ გავიქცეთ ხვალ გზაზედ მოგვეწვიან და უნ ამუსოდ სიკვდილს ნამუსიანად სიკვდილი სჯობ-
სო. ესეც ყოველთავე იცით რომე სიკვდილის შვ-
ილნი ვართ და ამისთვის ჩვენს გვარს და სახელს ერ-
თის დღის სიცოცხლისათვის ნუ მოვაყვინებთო
რომელსა ზედა მრავალნი ეთანხმავნენ მაშინ აღ-
რიცხა ირაკლის მხედრობა თვისი რომელიცა იყო
სამი ათასი ამ რიცხვსა შინა იყო თათარი ხუთასი
და ავად მყოფი ხუთასი ხოლო ხუთასი სწეული და
ხუთასი მცველი ესე დაუტევა ლაგრთა შინა, ხ~ თვით
ორი ათასის კაცით დაამტკიცა ომი პირისპირ
მისსა და ოდეს მცირე ადგილი წარვლო მეფემან იხ-
ილა მხედრობა აზატხანისა დასტა დასტად დაწყო-
ბილი მომავალი თვის ზედა მაშინ გარდახდა ცხე-
ნით დაემხო მიწასა ხედა შეევედრა ღ~თსა ადგა და
უბრძანა გულოვანთა თვისთა ძმანო და შვილნო ჩემნო
დღეს თქვენ განძლიერებისა და პატიოსნებისა ჩემ-
ისათვის იხოცებით ღ~თათანა თქვენი მოვალე ვარ

გარნა დღეს როგორც მე გამცნოთ ისე მოიქეცით და სისხლსა თქვენსა მე ვზღამო მაშინ მონათა მათ ერთობ ყოველთავე მოახსენეს მეფეო და დიდებაო ჩვენო სისხლი ჩვენი თქვენდა შემოგვიწირავს და ბრძანებასა თქვენსა გმორჩილებთ აწე ნება თქვენი აღსრულებდებისო და რა იხილა ეგოდენი ერთგულება მათი ირაკლი უბრძანა მათ ვიდრე თოფი ჩემი არ გავარდეს ნურავისი თოფი დაიცლებისო და ვიდრე მე არ აღვჯდები ცხენსა ნურვინ შეჯდებითო და ამის დამარხვა

1-32 სტრ., 21

მათ მოახსენეს გარდაიხადეს მხურვალედ და ცრემლით პარაკლისი მივიდა მეფე ირაკლი თაყვანისცა ჯვარსა ქრისტესსა და ყოველნი სპანნი თვისნი ათაყვანა გარდა ხუთისისა მისთანა მყოლისა თათარიცა რომელთაგან გამოერჩია მათი სახელით ალაგარდი. მოვიდა და ესრეთ რქვა ჯვარს მას უკეთუ შეძლება რამ არის დღეს გამოჩნდებისო და თათარიცა იგი დაადგრა მეფესთანა გაკეთდნენ თათარნი ერთ დასტად და ქართველნი მეორე დასტად და ამათ ქართველთა ათას ხუთასთა დაქვეითებულთა წარუძღუა თვით მხნე იგი მეფე მათი ირაკლი და მიჰმართა სადაცა იყო უფრორე ძალი მძლავრისა მის აზატ ხანისასა და ოდეს მიახლოვდა მაშინ გარე შემოერტყნეს იგინი და ლამოდენ ერთობ ცოცხლივ შეპყრობასა ქართლოსიანთასა და ოთხისავ მხრივ გამოდიოდა ცეცხლი მათგან და ამისთვის რომელმანვე ხანმან თავ მომწოვმან და მსურველმან რათა სახელი თვისი განდიდებულ ჰყოს მოახსენა აზატ ხანს. ვითა მიბრძანე მე რათა მეფე ირაკლი ცოცხლივ შეპყრობილი მოგართვაო და აღილოცა დასტური მისგან შემოერია იგი შიგან მხედრობათა ქართველთასა და შეჰქმნა ხმა მაღლად ზახილი ესრეთ ჰანნი ირაკლი ხან რომელ არს სადა არს მეფე ირაკლი და რომელსა ეპყრა ჰელთა შუბი საბრძოლველად მყის გაუხდა მამაცი იგი და შეურყეველი ვითა მთა შესძახა მე ვარ ირაკლი მეფეო, მიცსა ცეცხლი მოხვდა გულსა ბილწსა მას და მეყსეულად მიიბარა სული მისი წიაღსა მაჰმადსა სადა განისვენებენ ყოველნი არა წმინდანი კრებულნი მისნი მი-

სთანა და მაშინ მზათ მყოფნი ქართლოსიანი
ბძანებისა მეგრ მეფისა თვისისა განრისხდეს და
ერთობ მისცეს მათ თოფთა ცეცხლი და რაოდენიცა

1-32 სტრ., 22

გარემო მახლობელ მათსა მტერი იდგა სრულებით ცხენ-
ით გადმოჰყარნეს და მიჰმადლეს ურწმუნოთა მათ სუ-
ლი ჯოჯოხეთსა აღჯდა მეფე ცხენსა და აღუზახნა
სპათა თვისთა ამხედრება და იგინი ამხედრდეს და ეგ-
ოდენი სიმრავლე მათი გააქციეს მოკლეს მრავალი
და შეიპყრეს რაოდენიმე მათგანი და ესრეთ პატივცე-
მით გაისტუმრნა აზატ ხან რომელმან ირაკლი რომე-
ლსა გამარჯვებასთანავე დაშთა მათი ათოთხმეტი ზა-
რბაზანი და ორასი ზარბურავი თვისისა აქლემებითა
დროშა მრავალი ორი ათას ხუთასი კარავი ტყვისა
და საქონლისა რიცხვი აღარ შეიგებოდა რომლითა ქარ-
თლოსიანი აღივსნენ ნაშოვრითა და იგი ალავერდი
სულთანნი განკვირვებულნი ამას ზედა იტყოდა იტყოდა წინაშე
ჯვარისა მის ესრეთ საქმე ესე ჩვენ კაცთა ამათგ-
ან შეუძლებელი იყო გარნა ძალმან შენმან ჰყო ესეო
და ესრეთ აღიარნა ხაჩ ხანა ყურბან ოლიმ რომელ
რს ჯვარო შენ მსხვერპლად შეეგეწირო და თუმცა
ეს ოდენ ირწმუნა გარნა არა ნათელს ილო. ხ~ გამარ-
ჯვებულნი მეფე ესე ირაკლი წარმოვიდა მუნით თვის-
სა ქალაქსა ტიფლისს და ესე ძლევა იქმნა თვესა
ივლისსა:-

წელსა ჩდნგ ქ~კს ჟმა: მოსწერეს წიგნები მეფეთა საქა-
რთველოსათა განჯის შუშისა და ყარაბაღისა ხანთა და თხო-
ვეს აჯი ჩალაბზედ გალაშქვრა რომელთა აღმოიკითხეს
რა ინებეს წასვლვა მუნ და ოდეს განჯას წაბრძანდნენ
თვისთა მით მხედრობითა მუნ შემოხვდნენ ხანები იგი
ჯარებითა და შემოჰფიცეს ერთგულებასა ზედა ყოფა
გარნა აქათით იდუმალ იწყეს წერა ხანთა ამათ აჯი ჩა-
ლაბასთან ესრეთ შენ ამას ზედა დარწმუნებულ იყავ
რომე ოდეს გამოხვალ შენ პირის პირ ჩვენსა მაშინ
შიგ მეფეთა უღალატებთ და შენ კერძ ვიქნებითო
და ესე ყოველი წერილები მათი ჰელთა შინა მეფეთა

1-32 სტრ., 23

ჩაიყარეს შეიპყრეს ხანები იგი რომელნი ნიადაგ ორ გულობენ და ალაფსა მათსა ზედა მიუშვეს მხედრობა თვისი ჟამსა ამას ნუხის ხანიცა აჯი ჩალაბი მოვიდა შაქის შირვანისა და დაღისტანისა მრავლისა ჯართა ზედა დაესხა აღრეულთა სპათა მეფეთა გაიმარჯვეს მრავალი მათგანი მოჰკლეს და უმრავლესნი შამშადილეთა მოსწყვიტნეს გზასა ზედა ხ~ მეფენი მობრძანდნენ ტიფლისს თვესა მარტსა:

ამასვე ჩღნგ წელსა: მასში აჯიჩალაბის შვილმან ალა ქიშიმ შემოიკრიბა ჯარები შაქისა შირვანისა ყარაბაღისა და განჯისა თვით ხანები თურთ მათით მოვიდა და ყაზახ ბორალი აჰყარა და თვით უშიშრად დადგა ბაიდარსა შინა რა ესე ესმა ირაკლის განრისხდა ფრიად მას ზედა წარვიდა და გარდავლო კავკასია გარდმოიყვანა მუნით ჩერქეზნი და ოსნი და სხვანი მთიურნი კაცნი და წარმოვიდა მტერთა ზედა თვისთა ჟამსა ამას რომელგანვე ბელადმან სახელიტ ზუბეილად ჩინებულმან ლეკთა შორის მოვიდა ზემო ქართლს დაუწყო რბევა სოფლებსა შემოადგა გალავანსა დრუვანისასა აღილო იგი და მრავალი სული დაატყვევა, ხ~ მუნით გამობრუნებული მივიდა თიღვას და შემოადგა მას და ლამობდა აღებასაცა მისსა გარნა ესე ყოველი მოხსენდა რა მეფესა ირაკლის მომავლისა ზევით ხსენებულის ჯართთ ოდეს მობძანდა დუშეთს მყისად მათ ჯართა გივი ამილახვარი და ერის თავი ჯიმშერ თიღვის მოსაშველებლად. ხ~ თვით ისწრაფა კახეთად ჯარისა შეკრებად ლეკთა თიღვა ველარ აღიღეს გამობრუნდნენ პატარა ლიახვს გამოდმა კარბის სოფელთან და ამათით ჩერქეზნიცა მოსწყდნენ მათ ეკვეთნენ მათ სასტიკად და ძალითა ზე გარდამოითა ჰძლიეს ლეკთა მრავალი მოკლეს და ძლევა შემოსილნი შემოვიდნენ ტიფლისს მეფ

1-32 სტრ., 24

მეფესა თეიმურაზთანა და გამარჯვება იგი მოულოცეს მას მაშინ მეფეცა ირაკლი კახთა ჯართთ მობრძანდა მამასა თვისა თანა და ესე ორნი მეფენი ჯარებითურთ წაბრძანდნენ სონღალულს და რა ესე სცნა ალა ქიშიმ და სხვათა ხანთა მყის ბაიდრით აიყარნენ და ყაზახში მივიდნენ ხოლო ოდეს მეფენი მი-

ბრძანდნენ გატეხილ ხიდს იგინი გემი კაიდამაც აი-
ყარნენ და მსგავსათ გაქცეულთა მიმართეს მსწრაფლ
თოუზს და მუნ დადგნენ ორ პირად მალულად და მათ-
გან გაქცევის გზით წასვლა სცნეს მეფეთა ჯარნი
აჩქარებით მსგავსად ჩაფარულისა ცხენ რბევით გამო-
ეკიდნენ აშლილნი და რაზმ დაწყობილნი ცხებულმან
მეფემან თეიმურაზ სვლა დააწყნარა და ჯარი შეიაგრო-
ვა რაზმ წყობილად, ნელიად ვლიდა ხ~ მეფე ირაკ-
ლი წინა მათრახ მოწრტიალეთა ჯართა შორის სდევდა
მტერთა გულითა ლომებრითა და ოდეს მტერთა ქართლოსი-
ანთა ჯარნი თავ წვრილად მიდევნილი იხლეს. მზირ
ქმნილნი წყობილად მიეტევენ და მრავალი მოკლეს
მაშინ მეფემან ირაკლი ვ~ ა ძველ ოდესმე გამირმან
ოეტრ აღუზახნა გაბნეულთა სპათა შემოიგროვა
და გაერივა შიგან მათსა ვ~ ა შავარდენი გნოლის
გუნდთა შორს შეჰქმნეს თოფთა ცემა და ხმალთა
ელვა განძლიერდეს მეფენი და სძლიეს მტერთა მათ
თვისთა, გააქცივეს და სდივეს ხოცითა ვიდრე ხუთ
აღაჯამდე შეიპყრეს ტყვეთ მრავალნი რომ ესრეთ
გამარჯვებულნი და მოხარულნი შემობრძანდნენ ტიფლისს

და ამასავე წელს ჩდნგ: ქ~ კს ჟმა აღბორგდნენ დაღისტნ-
ელნი ვითარც მგელნი და იწყეს ხოროდ და ხოროდ სი-
არული ხუთასობით მეტით და ნაკლებით და იყო სამა-
რადო რბევა სოფლებთა მათგან ხოლო მხნე მეფე
ირაკლი სდევდა მათ მიყრულებულად და სადაცა მო-
ასწრის ხოცდა ის ვითარც მკალთა და მუმლთა გარნა

1-32 სტრ., 25

სიმრავლისა გამო დაღისტნელთასა ესევითარი შემთხვე-
ვა იყო ხან გრძლად საქართველოსა ზედა:

წელსა ჩდნდ ქ~ კს ჟმბ: ავარის ხანმა ხუნძახის ბატონმ-
ან ომარ დაღისტნელისა ჯართთა გარდამოვლო უგრძნებელად
შემოვლო შიგნით კახეთი მოვიდა დუშეთს და აღილო ცი-
ხე კობია მუნით გამობრუნებული შემოადგა მჭადის
ჯვარს და ამას ჟამს მოეშველნენ ციხესა მას ქართლ-
ის მეფე თეიმურაზ ხოლო კახეთით მეფე ირაკლი და ესე
ორნივე შეკრბენ დუშეთს და მეორეს დღეს ჭილურტის
მხრით მიბრძანდნენ მას ზედა ეკვეთნენ მესისხლედ

მათ მჭადისა ჯვარს მოსცათ ლ~თნ მეფედ ძლევა და მასვე ხევსა ჭადის ჯვარისასა ცხრა ასი ლეკი მოკლეს და შიშით ზარდაცემული ომარხან განვილტო მტირალი დაღისტანს, ხ~ მეფენი შემობრძანდნენ ტიფლიზს მოხარულნი და მადიდებელნი მღთისა ცხოველისანი გარნა ლეკნი თუმცა ყოველთვის ძლეულ იყვნენ ბრძოლასა შინა კ~დ უკვე არცაღა შემდგომ გასცხრებოდნენ სიბოროტეთა თვისთა მპარაობითა და ქურდობითა კ~დ შეკრიბენ იგინი და შემოადგნენ დირბს, გარნა არცა მუნ აქუნდათ წარმატება მით რამეთუ მეფეთა შეუტყვეს მათ მოეტივნენ ვითარცა ქორი კაკაბთა შ~ის და ესრეთ ამოსწყვიდეს იგინი რომე თითქმის არა დაშთა მოამბე ეგოდნეთა სიმრავლეთაგან ლეკთა:

წელსა ჩღნე ქ~კს ჴმგ: კ~დ შემოიკრიბნა ავარისა ხანმან ომარ დაღისტნელი და თანა მოერთუნენ ჭარელნი და შაქი შირვანელნიც ვ~ა არს ჩვეულება მათი დინთასლიბისა ქრისტეანეთა ზედა მოვიდნენ განძვინებულნი და მოადგნენ ციხესა ყუარელისასა რათა აღიღონ იგი ამაღ შეწუხდენ ფრიად მყოფნი მას შინა უმეტეს მისთვის რამეთუ მოუჭრეს წყალი შემოაკლდათ ტყვია წამალიცა რომლისათვის მისცა

1-32 სტრ., 26

მისცნეს თავნი თვისნი ყუარელთა განწირულებასა ხ~ მაშინ გულოვანი იგი ჭაბუკი ლარამე სახელით დავით მყოფი მასვე ციხესა შინა განამხნობდა ყუარელთა მათ რა ოდენ მზის შესაძლებელ იყო გარნა იხილა რა მან უკანასკნელ მოველებულ არიან მათგან ყოველნი ძალნი მათნი რქვა მათ ნუ ჰსჭმუნავთ ძმანო ჩემნო მე დავსთხიო სისხლი ჩემი თქვენ ქრისტეანეთათვის ამას ღამეს წარვიდე და ძალითა ძალლისათა გიშოვოთ წყალი და რა შეიქმნა მწუხრი და წყუდიადმან დაჰდარნა გამოვიდა იგი ციხით აღთქმისა ებრ თვისისა მათ მიმართ მივიდა მუნ სადაცა მოეჭრათ წყალი რომელსა ზედაცა იდგნენ მცველად ავარის ხანისაგან ათორმეტნი ყარაულნი ხ~ მან განვლო უშიშრად მტერთა იგი ბანაკი მცველნი იგი დახოცნა ხანჯლითა და წყალი მიუგდო

ციხესა შინა და ოდეს იხილეს ციხოვანთა წყალი გამზადნენ ფ~დ აღივსნენ მხიარულითა: ხ~ლომი იგი დავით მსწრაფლ წარვიდა მეფეთა წინაშე აცნობა საქმე ესე მაშინ გამოარჩივნეს მხნენი ვიდრე ორასადმდე უწინამძღვრეს მათ დავით და წარმატანეს ტყვია წამალი მეფეთა ციხისა მისაშველებლად. ხ~მათ ვითარცა სხვერპლად შემწირველთა მეფეთადმი თავადთა თვისთა გამოვლნეს ბანაკნი თვისი და ოდეს მივიდნენ მტერთა ბანაკსა მყის ერთ პირად დაუთალაბათ მათ დასცალნეს თოფნი. მაშინ აღირივნა სიმრავლე იგი გამოდგომილთა მტერთა და აღრევასა მას შინა შევიდნენცა განმზადებულნი იგი ციხესა შინა რომლისათვის მეციხოვნენი აღივსნენ უზომოითა სიხარულითა ჟამსა ამას მეფე თეიმურაზ იდგა თელავს და მეფე ირაკლი წავიდა ქისიყს შეიკრიბნა მუნ მხედრობა გამოუსივა ჯარს რომელთა ოდეს განვლეს ალ

1-32 სტრ., 27

ალაზანი მოსწვეს ჭარი და მოარბივეს ყოველი თურთ იგი ამისი მსმენელი ჭარელნი რომელნი ადგნენ ციხეთა ყუარელისასა აირივნენ მყის და შემოეცალნენ მას. მათ გაჰყვნენ შაქი შირვანელნი და ამას ოდენ ჟამს მეფეთაცა ისწრაფეს მისვლად ყორელად და ავირიისა ხანმან ჰგრძნორა მომავალობა მათი აიყარა და განვლიტნო ვითარცა მეოტი:-

წელსა ჩდნკ, ქ~კს: ჳმდ დაიწყეს მკვიდრად ბოროტთა დაღისტლენელთა სოფლებთა ადგილ ადგილ რბევა და ოხრება და ამათ საქართველო იყო ნიადაგ აღრეული გარნა მეფე ირაკლი ვითარცა ქორი თულუნი სდევდა მათ და სადაცა მოასწრის ჰხოცდის მათ თვინიერ ყოვლისა შეწყალებისა და ესრეთითა შრომითა სიმხნითა და მტერთა სისხლის ღვრითა იპყრობდა საქართველოსა რომლისა რიცხუი წვრილ წვრილად გამარჯვებისა არა სადა შეიგებისა.

მასვე წელსა საქართველოს ელები ჩვეულებისა ებრ თვისისა წარვიდნენ მთაზედ და მუნით გაიქცნენ და შევიდნენ მამულსა შინა ერევნისასა მოხსენდა ესე ყოველი მეფესა მსწრაფლ წაბრძანდა ზემო ქართლს შემოიკრიბა მუნ იდუმალ

სპასა თვესა აგვისტოს გარდავლო თრიალეთი და მივიდა ერევნისა მამულსა არეზის პირს ყარასუს მოსწყდა ელთა მათ და ყოველნი გამობრუნნა მოიყვანა თვისთვისავე ალაგსა დააყენა ესე იქმნა თვესა სექტემბერს წელსა

